





საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№2, 2018



კონკურსები

1. 13 აპრილს, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსში შემოსული 27 პროექტიდან, საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა შემდეგი 12 პროექტი, თითოეული 5 000 ლარით:
 - “ქარმა დაუბერა, საშუალო ასაკის ქალმა, თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიქრა”
 - “სასაზღვრო თამაშები”
 - “ბავშვი”
 - “აღდგომა”
 - “ვისია უშბა”
 - “პანთეონი”
 - “ქეფი სოლოლაკში”
 - “გაუმარჯოს”
 - “დიაკვანი”
 - “მკურნალობა მკვლევლობით”
 - “ბალიური”
 - “ნაცრისფერი ცა”
2. 3 მაისს, სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში შემოსული 21 პროექტიდან, საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა შემდეგი 3 პროექტი:
 - „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ – 299 083 ლარი
 - „ანატორი: მკვდრების სოფელი“ -- 278 585 ლარი
 - „ოთარის სიკვდილი“ – 400 000 ლარი
3. 29 ივნისს, სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში შემოსული 29 პროექტიდან, საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 10 პროექტი:
 - „თორმეტი გაკვეთილი“ - 34 600 ლარი;
 - „მოსავალი“ - 44 500 ლარი;
 - „მკვდარი სულების არდადეგები“ - 55 000 ლარი;
 - „წრე“ - 41 500 ლარი;
 - „სინემანია“ - 45 000 ლარი;
 - „შეხვედრა“ - 55 000 ლარი;
 - „როგორ გავხდეთ ქართველი“ - 26 000 ლარი;
 - „და სხვები“ - 44 000 ლარი;
 - „აზნაშ ლამან“ - 42 000 ლარი;
 - „ხელოსანი და ხელოვანი“ - 32 400 ლარი.

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდიო“, დირექტორი - რუსუდან ჭყონია, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიმანიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გადასასვლელი“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ვაკო კირვიტაძე, რეჟისორი - თაზო ნავერიანი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ტრაური“ (პროდიუსერი - ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“, დირექტორი - ზურაბ დიასამიძე, რეჟისორ/ანიმატორი - პეტრე თომაძე);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კვალი XXI“ მიდ. პირი ცოტნე კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დევნილი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი სახლი ტყის პირას“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლა მაჭავარიანი, რეჟისორი - თამარ შავგულიძე);



“ჩაისუნთქე, ამოისუნთქე”



“ანტონი”



„გაპიკოება“



„მინდვრის ყვავილები“

ბალანსის პერიოდშია:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეხდაკრული“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკოლოზ გუგუშვილი, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“, დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“, დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი).

კოსტაკროდუქსიის პერიოდშია:

- ქართულ - უცხოური კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ გავყიდოთ ომი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რუდოლფ ჰერცოგი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშლელი“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი - დავით უჯმაჯურიძე, რეჟისორი - დავით ფირცხალავა).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი - „3003 ფილმ ფროდაქშენ“, მინდობილი პირი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - ლანა ლოლობერიძე);

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გომიაშვილი, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - ვ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარქსის ქუჩა 12“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია კედარი“ - ირინე ჟორდანიას, რეჟისორი - ირინე ჟორდანიას);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცარიელი მაგიდა“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ დირექტორი - ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალიას);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღამის მორიგე“ (პროდიუსერი - შპს „პრედატორ ფილმი“, დირექტორი - თამარ გოლავა, რეჟისორები - ნატო გაბუნია, გრიგოლ ჯანაშიას);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (პროდიუსერი - შპს „კინო იბერიკა“, დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“ (პროდიუსერი - შპს „თავისუფალი კინოსტუდია“, დირექტორი - ედმონდ მინაშვილი რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე)
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“, დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცუდი ხალხი“ (პროდიუსერი - „20 Steps productions“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავას, რეჟისორი - გიორგი თავართქილაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი - შპს „არტ ფაბრიკა“, დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია).



“აღლუმი”



“მეოთხე ბრაიტონი”



„პიონერები“

„კაცი“

- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“, დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „წინ, წინაპრებისკენ! (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“, დირექტორი - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- მცირებიუჯეტის მხატვრული ფილმი „ღორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუზბურია).
- ერთობლივი ქართულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტონი“ (პროდიუსერი - შპს „Georgian Internasional Films“, დირექტორი - მირზა დავითაია, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე).
- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინტექსი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი _ „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (პროდიუსერი - აიპ „საქდოკ ფილმი“, დირექტორი - ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი - ანნა ძიაპშიპა).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“, დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“, დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრი“, დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუსი“ - (პროდიუსერი - შპს „სტუდიო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (პროდიუსერი - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“, დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ბალათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).

დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ „Matchhouse Film“, დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია).
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მიუსაფარი“ (პროდიუსერი - შპს „საავტორო ფილმების სტუდია“, დირექტორი - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- მცირებიუჯეტოანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კაცი“ (პროდიუსერი - შპს „სინემაგია“, დირექტორი - გიორგი კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი კაჭარავა).

განვითარდა

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“, დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).



“ზოლემია”



“მკველობის მოწმე”

კინოფესტივალები

საქართველო კანის 71-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე

ეროვნული კინოცენტრი კანის საერთაშორისო კინოფესტივალთან უკვე 11 წელია თანამშრომლობს და კანის კინობაზრობაზე საქართველოს პავილიონს წარმოადგენს.



წელს საქართველოს პავილიონში ინდუსტრიული კუთხით მუშაობდნენ: ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ზურაბ მაღალაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი - დავით ვაშაძე, ევრიმაჟში საქართველოს წარმომადგენელი - თამარ ტატიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მენეჯერი - ნინო შერვაშიძე და Creative Europe - ის მედია ქვე პროგრამის მენეჯერი - ლევან ლომჯარია.

კანის კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი იყო საფრანგეთის, საქართველოს და ბელგიის კოპროდუქცია „მზის გოგონები“. ფილმის რეჟისორია Eva Husson, ხოლო პროდიუსერები - Didar Domehri, Etienne Comar, ვლადიმერ კაჭარავა, Josphe Rouschop, Dan Wechsler და Jamal Zeinal Zade. კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმში მონაწილე ქართველი მსახიობებიც გაემგზავრნენ, რომლებიც საქართველოს პავილიონის სტუმრებიც იყვნენ.. „მზის გოგონები“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მხარდაჭერით შეიქმნა და იგი საქართველოშია გადაღებული.



გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ Variety 10 ყველაზე წარმატებული პროდიუსერი დაასახელა, რომელთა ფილმებიც წელს ევროპისა და ამერიკის წამყვან კინოფესტივალებზე მონაწილეობდნენ. რჩეულ პროდიუსერებს შორის მოხვდა ლაშა ხალვაში - ფილმებისთვის „საშიში დედა“ და „ჰორიზონტი“, რომელიც კოლეგებთან ერთად 14 მაისს Nespresso beach-ზე დააჯილდოვეს



კანის კინოფესტივალის რეზიდენციის პროგრამაში Cinefondation მისი ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტის „ნენე“ განვითარებაზე იმუშავა მარიამ ხაჭვანმა. აღსანიშნავია, რომ „ნენემ“ აზიური ოსკარის დაჯილდოვების ცერემონიაზე MPA Apsa Academy Film Fund-ის ფულადი პრიზი მიიღო.

კანის კინოფესტივალის სექციაში Shoot the Book პირველად იყო შერჩეული ქართული რომანი, რაც 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობას უკავშირდება. აკა მორჩილადის „obOle“ საერთაშორისო კინოინდუსტრიის წარმომადგენლების წინაშე 15 მაისს წარდგა. ქართველი ავტორის ნაწარმოები კანში 10 საუკეთესო რომანს შორის იყო მოხვედრილი.

ახალგაზრდა რეჟისორის რატი წითელაძის პროექტი „ცარიელი სახლი“ (პროდიუსერი - ნინო ვარსიმაშვილი) წარდგენილი იყო კჟისტოფ კიშლოვსკის სახელობის პრიზზე, რომელიც საუკეთესო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული სცენარისათვის გაიცემა. რატი Cinéfondation-ის რჩეული რეჟისორი გახდა და მას PRIX Moulin d'Andé-Céci პრიზი გადასცეს.

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით კანის კინოფესტივალზე დამატებითი დაფინანსების მოსაპოვებლად და ერთობლივი წარმოების შესაქმნელად გაემგზავრნენ შემდეგი ქართველი პროდიუსერები:

1. რუსუდან ჭყონია პროექტით „ვენეცია“
2. ვაკო კირკიტაძე პროექტით „ზამთრის დეპრესია“
3. ნოდარ ნოზაძე პროექტით „ველი“
4. ირაკლი ჩხიკვაძე პროექტით „ომობანა“
5. ელენე კოლელიშვილი პროექტით „მამა“

კანის კინოფესტივალის ფარგლებში ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით გაიმართა შემდეგი შეხვედრები:

- შეხვედრა ევროპის კინოაკადემიის ხელმძღვანელებთან. დაიგეგმა რამდენიმე ღონისძიება, რომელსაც საქართველოს კინოცენტრი და ევროპის კინოაკადემია ერთობლივად განახორციელებენ.



- ვენეციის კინოფესტივალის სელექციონერებთან შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს ის ქართული ფილმები, რომლებიც დასრულების ეტაპზეა.
- უზბეკეთის კინემატოგრაფიის განვითარების ცენტრთან გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.



- კანის კინოფესტივალის ფარგლებში, ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, ლიტვის პავილიონში ქართველი კინემატოგრაფისტები ხორვატ და ლიტველ კოლეგებს შეხვდნენ.



- შეხვედრა ბრიტანული კომპანიის 130 Elektra Films წარმომადგენლებთან. იგეგმება მასშტაბური ფილმის გადაღება ღვინის შესახებ. გადაღებები საქართველოში დაიწყება და იტალიასა და საფრანგეთში გაგრძელდება.



- 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ეგიდით, საქართველოს პავილიონში გაიმართა შეხვედრა კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს კოტბუსის 2018 წლის საფესტივალო გამოშვება, სადაც საქართველო მასშტაბურად იქნება წარმოდგენილი. შეთანხმების თანახმად: ფესტივალზე ნაჩვენები იქნება ქართული ფილმების რეტროსპექტივა, ფესტივალის საერთაშორისო ჟურის ერთ-ერთი წევრი იქნება ქართველი კინემატოგრაფისტი, ფესტივალის ვორქშოპში მონაწილეობის მისაღებად შეირჩევა ახალგაზრდა ქართველი კინოკრიტიკოსი და პროდიუსერი, ხოლო Connecting Cottbus - ის პროექტების განვითარების პროგრამაში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ქართული კინოპროექტი. ასევე, გაიმართება ქართული წვეულება, რომელიც მიემდგვნება საქართველოს, როგორც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის 2018 წლის საპატიო სტუმრის სტატუსის მქონე ქვეყანას.



- შედგა შეხვედრა ეროვნული კინოცენტრის დირექტორ ზურაბ მაღალაშვილსა და ხორვატიის კინოცენტრის დირექტორ დანიელ რაფაელიჩს შორის. შეხვედრის დროს, ერთობლივი ფილმების წარმოების ხელშეწყობის მიზნით, დაიგეგმა მემორანდუმის გაფორმება, რაც ხელს შეუწყობს ქართველ და ხორვატ კინემატოგრაფისტებს შორის სამომავლო თანამშრომლობას. ხორვატიის კინოცენტრის წარმომადგენლები მზად არიან ხელი შეუწყონ ქართულ კინოპროექტებს და დააფინანსონ კოპროდუქციები. ასევე, მოხდა შეთანხმება, რომ ქართული მხარე გამოცდილებას გაუზიარებს ხორვატ კოლეგებს პროგრამის “გადაიღე საქართველოში” (Film in Georgia) დაკავშირებით.
- ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით, საქართველოს პავილიონში ქართველი კინემატოგრაფისტები ბელგიელ კოლეგებს შეხვდნენ და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.



- სანდენსის კინოფესტივალის სელექციონერთან შეხვედრისას, განხილული იყო ქართული ფილმების სელექცია სანდენსის კინოფესტივალზე.
- შეხვედრა პეკინის კინოფესტივალის სელექტორთან, სადაც საუბარი იყო ფესტივალზე ქართული ფილმების წარმატების და ჩინეთთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.

- შეხვედრა პულას საერთაშორისო კინოფესტივალის ხელმძღვანელთან. დაიგეგმა ფესტივალის ფარგლებში გამართულ ფორუმზე ქართველი პროდიუსერების მონაწილეობა.
- შეხვედრა კარლოვი ვარის კინოფესტივალის დირექტორთან. განხილული იყო ქართული ფილმების სელექცია ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში, ფესტივალის ფარგლებში ახალგაზრდა რეჟისორების დახმარება და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავება.
- შეხვედრა ანტალიის კინოფესტივალის ხელმძღვანელებთან. მოხდა შეთანხმება, რომ ფესტივალზე მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ქართველი პროდიუსერი თურქ კოლეგებთან სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით.
- შეხვედრა INDYWOOD Film Carnival - ის წარმომადგენლებთან. მხარეებმა ისაუბრეს კინობაზრობის ფარგლებში საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.



- შეხვედრა დოკუმენტურის ფილმების საერთაშორისო ფესტივალის IDFA წარმომადგენლებთან. შეხვედრისას განხილული იყო ფესტივალის მიერ ქართველი დოკუმენტალისტების და მათი პროექტების ხელშეწყობის საკითხები.
- შეხვედრა Asia & Pacific Film Festival - ის წარმომადგენლებთან. მოხდა შეთანხმება ქართული ფილმების სელექციასთან დაკავშირებით.
- შეხვედრა ჰონგ-კონგის კინობაზრობის წარმომადგენლებთან კინობაზრობაზე საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით.
- შეხვედრა სარაევოს კინოფესტივალი სელექციონერთან. ფესტივალი დაინტერესებულია ქართული სტუდენტური ფილმების სელექციით.
- შეხვედრა სცენარის/პროექტის განვითარების პროგრამის Script East წარმომადგენლებთან. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმების/პროექტების განვითარების მიზნით.

საქმიანი შეხვედრების პარალელურად, კანის კინოფესტივალის სტუმრებისთვის ტრადიციულად გაიმართა წვეულება საქართველოს სახელით, რომელიც წელს ქართული კინოს 110 წლის იუბილეს მიემდვना.





ქართული კინოს ტრიუმფი პეკინის კინოფესტივალზე

ქართველი კინემატოგრაფისტების მონაწილეობა პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ტრადიციულად დიდი გამარჯვებით დასრულდა. დაჯილდოვების ცერემონიალს 250 მილიონი მაყურებელი ადევნებდა თვალს. შარშანდელის მსგავსად, წელსაც 10 ჯილდოდან ქართულ ფილმებს 4 მთავარი პრიზი გადაეცა:

- Tiantan Award საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის ანა ურუშაძემ მოიპოვა და მას ეს ჯილდო თავად კინოფესტივალის ჟიურის პრეზიდენტმა ვონგ კარ ვაიმ გადასცა;
- Tiantan Award საუკეთესო რეჟისურისთვის მარიამ ხაჭვანს ერგო;
- Tiantan Award საუკეთესო მსახიობი ქალისთვის ნატო მურვანიძეს მიანიჭეს ფილმისთვის “საშიში დედა”. მსახიობი პეკინში არ იმყოფებოდა და მის მაგივრად ეს პრესტიჟული ჯილდო ცნობილმა მსახიობმა იზაბელ იუპერმა ფილმის რეჟისორს - ანა ურუშაძეს გადასცა;
- Tiantan Award საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის მინდია ესაძემ მოიპოვა ფილმისთვის “დედე”;



აღსანიშნავია, რომ კინოფესტივალის საერთაშორისო ჟიური ოსკარისა და ოქროს გლობუსის მფლობელი და ნომინანტი, ასევე მსოფლიოს წამყვანი კინოფესტივალების პრიზიორი კინემატოგრაფისტებით იყო დაკომპლექტებული.

საქართველო პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალთან დაარსების დღიდან თანამშრომლობს და იგი ფესტივალზე ყოველთვის ღირსეულად იყო წარმოდგენილი. შარშან კი ქართველმა კინემატოგრაფისტებმა, ისევე როგორც წელს, პეკინში 10 მთავარი ჯილდოდან 4 მოიპოვეს: კინოფესტივალის საუკეთესო მხატვრული ფილმი გიორგი ბარაბაძის “ლუკა” გახდა. ამავე ფილმში ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი ლია კაპანაძე დააჯილდოვეს. ფილმს “სხვისი სახლი” ასევე 2 პრიზი ხვდა წილად - საუკეთესო რეჟისურისთვის და საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის. რუსუდან გლურჯიძეს ჯილდო ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟან რენომ გადასცა, რომელიც 2017 წელს პეკინის კინოფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრი იყო.

აღსანიშნავია, რომ წელს პეკინის კინოფესტივალზე სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” ეროვნულ კინოცენტრთან ერთად საქართველოს სტენდი ჰქონდა წარმოდგენილი, სადაც ქვეყნის კინოგადაღებების კუთხით პოპულარიზაციისა და ქართული კინოს ჩინეთის ბაზარზე გატანის მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა.

ქართული ფილმების მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი ლონდონში

პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის და ქართული კინოს 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ლონდონი 1-8 მაისს ქართული ფილმების მეხუთე საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობდა, სადაც კინო პროგრამის გარდა, კინო პოსტერების გამოფენა, საინტერესო დისკუსიები, ქართული კულინარია და მუსიკალური ნაწილიც იყო წარმოდგენილი. ფესტივალს „კინოში ასახული ცხოვრება“ ბრიტანულ-ქართული საზოგადოება და პრესტიჟული Regent Street Cinema ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით მართავენ.



ფესტივალის კინო პროგრამაში იყო ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის, ლევან კოდუაშვილის, ელდარ შენგელაიას, ანდრო ჭიაურელის, ნანა ჯორჯაძის, ელენე ნავერიანის, რუსუდან გლურჯიძის, რატი ონელის, მარიამ ხაჭვანის, ზაზა ურუშაძის, ანა ურუშაძის, თამუნა ქარუმიძის, დავით მესხის და სალომე მაჩაიძის ფილმები.

„ევროპა! ქალების ხმა კინოში“ - სიდნეის კინოფესტივალი

ანა ურუშაძე 10 რჩეულ ევროპულ ქალ რეჟისორს შორის დასახელდა. 6-17 ივნისს სიდნეის საერთაშორისო კინოფესტივალი სპეციალურ პროგრამას „ევროპა! ქალების ხმა კინოში“ მასპინძლობდა. პროგრამაში მონაწილე ფილმები უკვე არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ნამუშევრებია.

პროგრამა უკვე მესამე წელია, ავსტრალიაში სიდნეის კინოფესტივალისა და European Film Promotion-ის კოლაბორაციის შედეგად იმართება. ეროვნული კინოცენტრი EFP-ის 23 წევრს შორის არის, შესაბამისად ორგანიზაციასთან ერთად ქართველი რეჟისორის და ფილმის წარმდგენია.

საქართველოს გარდა წელს პროგრამაში მონაწილეობდნენ: გერმანია, დანია, შვედეთი, ფინეთი, ნიდერლანდები, ირლანდია, ავსტრია, პოლონეთი და კოსოვო. აღსანიშნავია, რომ შარშან სიდნეის კინოფესტივალის პროგრამა „ქალების ხმა კინოში“ რუსუდან გლურჯიმეს და მის ფილმს „სხვისი სახლი“ მასპინძლობდა.



კარლოვი ვარის კინოფესტივალზე 10 ყველაზე იმედისმომცემ, ახალგაზრდა რეჟისორს შორის დავით გურგულია წარადგინეს

EFP (European Film Promotion)-მა 10 ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდა რეჟისორი კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარადგინა. რჩეულ რეჟისორებს შორის მოხვდა დავით გურგულია ფილმით „დიალექტი“.

EFP-ის პროგრამა კარლოვი ვარის ფესტივალზე წელს მეოთხედ იმართება და ეროვნული კინოცენტრი, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი, ქართველი კანდიდატის წარმდგენია.

4 დღის მანძილზე (1-4 ივლისი) კარლოვი ვარის კინოფესტივალი ახალგაზრდა რეჟისორების ფილმების საერთაშორისო და ევროპულ პრემიერებს მასპინძლობდა. თავად რეჟისორებს კი შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ მასტერკლასს, შეხვედროდნენ პროდიუსერებსა და გაყიდვების აგენტებს, საერთაშორისო კავშირების გასაფართოებლად.



საქართველო კინოფესტივალის FILMKUNSTFEST ფოკუსში

1-6 მაისს გერმანიის ქალაქ შვერინში კინოფესტივალი FILMKUNSTFEST გაიმართა, რომლის ფოკუსშიც საქართველო იყო.

საქართველოს, როგორც 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის წარდგენა თებერვალში, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ საქართველოს მიღებაზე დაიწყო. ამჯერად კი კულტურულ პროგრამას Filmpalast Capitol Schwerin მასპინძლობდა.

ფესტივალზე წარმოდგენილი კინოპროგრამა Gastland Georgien (სტუმარი ქვეყანა - საქართველო) 25 ქართული ფილმისგან შედგებოდა, რომელიც სრუმეტრაჟიან, მოკლემეტრაჟიან და საქართველოს შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებსაც აერთიანებდა. რეტროსპექტივისთვის ფილმები გერმანულმა მხარემ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან და ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალთან ერთად შეარჩია.


კინოპროგრამის გარდა ფესტივალზე წარმოდგენილი იყო Wolfgang Korall-ის ფოტოების გამოფენა სახელწოდებით „ქართული სული“, ასევე ქართული ლიტერატურული და მუსიალური პროგრამა.

საქართველო დრეზდენის კინოფესტივალის ფოკუსში

დრეზდენში მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობდა, რომლის ფოკუსს ქვეყანაც წელს საქართველო იყო.

ფესტივალის კინო პროგრამაში მოხვდა გიორგი ოვაშვილის, თამთა გაბრიჩიძის, მარგო ზუბაშვილის, დეა კულუმბეგაშვილის, ალექსანდრე კობერიძის, დავით მესხის, სალომე მაჩაიძის და ზაზა რუსაძის ფილმები. საბავშვო პროგრამაში კი აჩვენეს ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი „ჯიბის კაცი“.

ინდუსტრიული სექციაში პროდიუსერმა მარიამ კანდელაკმა (სტუდია კვალი XXI, კინოფესტივალი “ნიქოზი”) წაიკითხა მოხსენება ქართული ანიმაციის შესახებ. პროდიუსერმა ცოტნე კლანდაძემ (სტუდია კვალი XXI) წარმოადგინა პროექტი „მიტოვებული სოფელი“, ხოლო დამწყებმა ანიმატორმა ნიკა მჭედლიძემ (სტუდია “ნიქოზი”) ინდუსტრიის წარმომადგენლებს გააცნო თავისი პროექტი „ჩემია, არა, ჩემია“.



ფაჯრის საერთაშორისო კინოფესტივალზე 6 ქართული ფილმი აჩვენეს

19-27 აპრილს თეირანი ტრადიციულად მასპინძლობდა ფაჯრის საერთაშორისო კინოფესტივალს, სადაც ქართულ კინოს სპეციალური რეტროსპექტივა მიემდგნა.

ფესტივალზე აჩვენეს შემდეგი ქართული ფილმები:

- გიორგი ოვაშვილის “ხიზულა”
- გიორგი ბარაბაძის “ლუკა”
- რუსუდან გლურჯიძის “სხვისი სახლი”
- ანა ურუშაძის “საშიში დედა”
- მარიამ ხაჭვანის “დედე”

ამასგარდა, გიორგი ოვაშვილის “ხიზულა” და ნათია ნიკოლაშვილის ანიმაციური ფილმი “ლილე” კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში Eastern Vista იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ფაჯრის კინოფესტივალის ერთ-ერთი სექციის ჟიურის წევრი იყო ქართველი მსახიობი სალომე დემურია. მან და რეჟისორმა ირაკლი ბაღათურიამ პანელ დისკუსიაშიც მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ქართული კინოს ბოლოდროინდელ წარმატებებს ეძღვნებოდა.



ანსის კინოფესტივალი

11-16 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ანსიში ანიმაციური ფილმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალი ჩატარდა.

ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი იყო მამუკა ტყეშელაშვილის თოჯინური ანიმაციური ფილმი “მეთევზე და გოგონა”. ანსიში შედგა კიდევ ერთი ქართული ანიმაციის - პეტრე თომასის “ჩაის” პრემიერა. ბოლო დროის ერთ-ერთი წარმატებული ანიმაციური ფილმის - ანა ჩუბინიძის “ჯიბის კაცის” ესკიზების გამოფენა კი კინოთეატრში Cinema Les Nemours მოეწყო.

აღსანიშნავია, რომ წელს ანსიში, ფესტივალის მარკეტზე პროგრამას Film In Georgia საკუთარი სტენდი ჰქონდა წარმოდგენილი, სადაც ქართველი ანიმატორები და პროდიუსერები უცხოელ კოლეგებთან მნიშვნელოვან შეხვედრებს მართავდნენ. ფესტივალზე საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი კომპანიები:

- “კვალი XXI”
- 20 Steps Production
- “ჯიბის სტუდია”
- Lira Production
- Mifasi Films
- Qubitz Studio
- Post Red Audio

ანსის კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული ანიმაციური კინოფესტივალები - “ნიქოზი” და “თოფუზი”. “ნიქოზის” კინოფესტივალის წარმომადგენელი მარიამ კანდელაკი კი წელს უკვე მეოთხედ იყო მიწვეული ფესტივალზე მსოფლიო პროგრამების შეხვედრაზე.



CINEDOC TBILISI

3-8 მაისს თბილისი უკვე მეექვსედ მასპინძლობდა საერთაშორისო დოკუმენტურ კინოფესტივალს CinéDOC-Tbilisi.

ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია.

წლევანდელი გამოშვების სლოგანი იყო: „ჩაუღრმავდი რეალობას“. მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა 60-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან, შეხვდროდა ფილმის შემქმნელებს და მონაწილეობა მიეღო დისკუსიებში.

ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიაზე ცნობილი გახდა გამარჯვებულების ვინაობა. მთავარი პრიზები ასე გადანაწილდა:

საერთაშორისო საკონკურსო სექცია

- ჟიურის სპეციალური აღნიშვნა: „ზღვარს მიღმა“ – პოლონეთი, გერმანია, ფინეთი (რეჟისორი მარტა პრუსი)
- მთავარი პრიზი (სპონსორი: Current Time TV, 3000 აშშ დოლარი): „დაღლების შორეული ყეფა“ – დანია, შვედეთი, ფინეთი (რეჟისორი სიმონ ლერენგ ვილმონტი)

FOCUS CAUCASUS-ის საკონკურსო სექცია

- ჟიურის სპეციალური აღნიშვნა: „მზიანი ღამე“ – გერმანია, საქართველო (რეჟისორები: სოსო დუმბაძე და ლეა ჰარტლაუბი)
- მთავარი პრიზი (სპონსორი: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, 3600 ლარი): „გამჭვირვალე სამყარო“ – საქართველო (რეჟისორი: ვახტანგ კუნცევა-გაბაშვილი)

CIVIL DOC-ის საკონკურსო სექცია

- ჟიურის სპეციალური აღნიშვნა: „ისევ ხვალინდელი დღე“ – ჩინეთი (რეჟისორი: ფან იანი)
- მთავარი პრიზი (სპონსორი: ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო, 1200 აშშ დოლარი): „ქალი ტყვეობაში“ – უნგრეთი, გერმანია (რეჟისორი: ბერნადეტ ტუზა-რიტერი)

ფესტივალის პრიზები სხვა გამარჯვებულ ფილმებსაც გადაეცათ. ერთ-ერთი ასეთი ჯილდო ქართველი კინოკრიტიკოსებისგან (3000 ლარი) ეროვნულმა კინოცენტრმა დააწესა, რომელიც ლეო ესაძის ფილმს „ჰარი ჰარალე, დედაო, გადავჯექ კურდღელზედაო“ ერგო.

თბილისის სტუდენტური კინოფესტივალის გამარჯვებულები გამოავლინეს

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, თბილისის რიგით მე-11 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი გაიმართა. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით Check in Georgia-ს ფარგლებში მიმდინარეობდა.



მთავარი პრიზები ასე გადანაწილდა:

- ფესტივალის გრან-პრი - MAREGRAVE by JUSTINE CAPPELLE / BELGIUM
- საუკეთესო მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი - EKAANT by SARTHAK BHASIN / INDIA
- საუკეთესო დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი - APOLLO JAVAKHETI by BAKAR CHERKEZISHVILI / GEORGIA
- საუკეთესო ანიმაციური მოკლემეტრაჟიანი ფილმი - FIFTY-TWO by BRODIE STEPHENSON / AUSTRALIA

ასევე გაიცა სპეციალურ დიპლომები იმ სპეციალობების მიხედვით, რომელიც ისწავლება კინოსკოლებში.

BIAFF პრესკონფერენცია

ეროვნულ კინოცენტრში ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალის BIAFF პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ზურაბ მაღალაშვილი, კინოფესტივალის დირექტორი - გიორგი გოგიბერიძე, კინოფესტივალის მენეჯერი - ზვიად ელიზიანი და პროგრამის “ალტერნატიული ტალღა” კოორდინატორი - ლაშა ხალვაში დაესწრნენ.

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ქალაქ ბათუმში წელს 19-23 სექტემბერს გაიმართება.



ოქროს პეპელა

29 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით თბილისი მერვედ მასპინძლობდა საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალს „ოქროს პეპელა“.

პროექტის მიზანია აღმოაჩინოს, წახალისოს და საზოგადოებას გააცნოს კინოხელოვნების მოყვარული ნიჭიერი ბავშვები და მათი შემოქმედება, აგრეთვე გამარჯვებულები წარადგინოს საერთაშორისო კინოფორუმებსა და ფესტივალებზე.

ფესტივალში მონაწილეობენ 18 წლამდე ასაკის მოზარდები, როგორც საქართველოდან ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ფესტივალზე დამოუკიდებლად შექმნილ 7 წუთამდე ქრონომეტრაჟის ანიმაციურ, დოკუმენტურ ან მხატვრულ ფილმებს წარადგენენ. ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად ფესტივალის მხარდამჭერია.

თბილისში უკრაინული კინოს ფესტივალი „უკრაინა ფოკუსში“ გაიმართა

26 აპრილს კინოფესტივალი „უკრაინა ფოკუსში“ პიტერ ბობჟაკის ფილმით “ზღვარი” (2017) გაიხსნა. მომდევნო დღეებში კი თანამედროვე უკრაინული ფილმების ჩვენებები გაიმართა.

ერთი დღე დაეთმო ოდესის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული ფილმების პროგრამას, მოგვიანებით კი უკრაინული კინოს ფესტივალზე საბავშვო ფილმების პროგრამაც წარადგინეს.

საერთაშორისო წარმატება

ფილმი “საშიში დედა” ერთდროულად 3 სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს

ანა ურუშაძის სადებიუტო ნამუშევრის “საშიში დედა” პრიზებს 3 საერთაშორისო ჯილდო შეემატა. ფილმი ერთდროულად 3 კინოფესტივალზე დაჯილდოვდა:

1. მთავარი ჯილდო Top Golden Gate Prize საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის სან ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალზე;
2. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის ჯილდო FIPRESCI ევროპული კინოს ფესტივალზე;
3. ჯილდო საუკეთესო დებიუტისთვის საერთაშორისო კინოფესტივალზე Med Cinema Festival of Tetouan;



ელდარ შენგელაია კინოპრემია „ნიკას“ მფლობელი გახდა

1 აპრილს, მოსკოვში ყველაზე პრესტიჟული კინოპრემიის „ნიკას“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა, სადაც ცნობილი გახდა, რომ გამარჯვებული ნომინაციაში - დსთ-ს, საქართველოს და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფილმი - ელდარ შენგელაიას „სავარძელი“ გახდა. შარშან იგივე ნომინაციაში გამარჯვებული და „ნიკას“ მფლობელი კიდევ ერთი ქართველი რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე გახდა ფილმით „სხვისი სახლი“.

წელს ლეგენდარულ ქართველ რეჟისორს 85 წელი შეუსრულდა, თუმცა შემოქმედებით საქმიანობას კვლავაც აგრძელებს. „სავარძელი“ ელდარ შენგელაიას ახალი ფილმია, რომლის პრემიერაც 2017 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ზაზა ხალვაშის ფილმი “ნამე” საერთაშორისო კინოფესტივალებზე

ესპანეთში საერთაშორისო კინოფესტივალი Las Palmas de Gran Canaria მიმდინარეობდა, რომლის მთავარ საკონკურსო პროგრამაში ზაზა ხალვაშის ფილმი “ნამე” იღებდა მონაწილეობას. პარალელურად ფილმი სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალზეც იყო წარმოდგენილი პროგრამაში Best of Best.

“ნამე” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომელიც საქართველო-ლიტვა-საფრანგეთის კოპროდუქციაა.



ქართული ანიმაციური ფილმი “ჯინო” ინდოეთში გრანპრის მფლობელი გახდა

ქართული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი “ჯინო” ინდოეთის საერთაშორისო საბავშვო ფილმების ფესტივალზე გრან პრის მფლობელი გახდა. იგი ფესტივალის საუკეთესო ანიმაციურ ფილმად აღიარეს.

“ჯინო” პირველი ქართული 3D ანიმაციაა, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა.

ალექსანდრე კვატაშიძის ფილმი “ჩეჩნეთის გზაჯვარედინი” საფრანგეთის საავტორო უფლებების ორგანიზაციამ დააჯილდოვა

საფრანგეთის საავტორო უფლებების ორგანიზაციამ La Scam 30 ფილმი შეარჩია და დააჯილდოვა ტიტულით Etoile de la Scam.

რჩეულ ფილმებს შორის მოხვდა ალექსანდრე კვატაშიძის დოკუმენტური ფილმი “ჩეჩნეთის გზაჯვარედინი, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერითაა შექმნილი.

ტიტულს თან ერთვის ფულადი ჯილდო 4000 ევრო.

პრემიერები



“მძევლები”

ამერიკაში რეჟო გიგინეიშვილის ფილმი “მძევლები” ნახეს. ფილმის ჩვენებას შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა.

“ქართული ფილმების სერიები” ვაშინგტონში არის საქართველოს საელჩოსა და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი პროექტი. პროექტის ფარგლებში საელჩო ყოველთვიურად აწყობს ქართული კლასიკური და თანამედროვე ფილმების ჩვენებას საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად.

“სანამ მამა დაბრუნდება”

რეჟისორ მარი გულბიანის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის “სანამ მამა დაბრუნდება” პრემიერა ბრიტანეთში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდ დოკუმენტურ შეფილდის კინოფესტივალზე შედგება.

“კაცი”

21 მაისს, კინოთეატრ “რუსთაველში” გია კაჭარავას ფილმის “კაცი” პრემიერა გაიმართა. ფილმი კრიმინალური დრამაა, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც კანონი არ არსებობს და ყველაფერი დაშვებულია.

ქართული ანიმაციური ფილმის დისტრიბუციის უფლება იაპონიაში, კორეაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყიდა

ქართული ანიმაციური ფილმის “ჯინო” ჩვენების უფლება იაპონიაში, კორეაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყიდა. მხარეებმა კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერეს. “ჯინოს” დისტრიბუცია სულ მალე დაიწყება, ჩვენებების განრიგს კი ლოს ანჯელესის დისნეს კინოთეატრი დაასრულებს.

“ჯინო” ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული ანიმაციური ფილმია. მისი პრემიერა ანსის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში შედგა და მას შემდეგ არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა. ამ ეტაპზე ბოლო გამარჯვება აზიის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ანიმაციური ფილმების ფესტივალს ICFF უკავშირდება, სადაც “ჯინოს” ფესტივალის გრან პრი გადასცეს.

“დედეს” ჩვენებები ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

საფესტივალო წარმატებების პარალელურად, მარიამ ხაჭვანის ფილმის “დედე” დისტრიბუციის უფლება სულ უფრო მეტ ქვეყანაში იყიდება. ამჯერად ფილმის ჩვენებები ესპანეთის 8 ქალაქში გაიმართა, ივლისის თვიდან კი “დედეს” უკვე ამერიკის შეერთებული შტატების კინოთეატრები უმასპინძლებს.

ქართული კინომაგიკვიდრობა შინ ბრუნდება



ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების ისტორიული პროცესი გრძელდება

რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების პროცესი გრძელდება - კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ძალისხმევით, საქართველოში, „გოსფილმოფონდში“ დაცული, კიდეც, 11 ფილმი დაბრუნდა.

მესამე ეტაპზე, ქართულ მხარეს 1960-დან 1985 წლამდე პერიოდში გადაღებული ფილმები დაუბრუნდა. მათ შორის, რეჟისორ ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი“ (1975), გიორგი შენგელაიას „ალავერდობა“ (1962) და „ფიროსმანი“ (1969), თენგიზ აბულაძის „ვედრება“ (1967), ლანა ლოლობერიძის „ერთი ცის ქვეშ“ (1961), ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (1968) და თამაზ მელიავასთან ერთად გადაღებული - „თეთრი ქარავანი“ (1963), რეზო ესაძის „ერთი ნახვით შეყვარება“ (1975) და „ნეილონის ნაძვის ხე“ (1985), ალექსანდრე რეხვიაშვილის „მეცხრამეტე საუკუნის ქართული ქრონიკები“ (1978), ასევე, გუგული მგელაძის „ბურთი და მოედანი“ (1961).

ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოების ხარისხის კონტროლისა და სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით, სამუშაო ვიზიტით, ქალაქ მოსკოვში, პროექტის კურატორი, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების სამსახურის უფროსი ნანა დოლიძე და ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი იმყოფებოდნენ. შეხვედრა შედგა ქართულ დელეგაციასა და „გოსფილმოფონდის“ დირექტორს შორის. ვიაჩისლავ ტელნოვმა გამოთქვა მზადყოფნა, მომავალშიც, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქართული ფილმების სამშობლოში დაბრუნების პროცესს.



პირველი ჩინური სერიალის გადაღების დაწყების შემდეგ, შესაძლოა საქართველოში პირველი ჩინურ-ქართული კოპროდუქცია გადაიღოს

16-25 ივნისს ჩინეთში შანხაის საერთაშორისო კინოფესტივალი მიმდინარეობდა, სადაც ზაზა ხალვაშის ფილმი „ნამე“ იყო წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალზე პლატფორმის Belt and Road ფარგლებში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც ჩინეთთან ერთობლივი წარმოების და ქართული ფილმების ჩინურ ბაზარზე დისტრიბუციის ხელშეწყობას ითვალისწინებს. Belt and Road 26 ქვეყანას აერთიანებს, წელს კი პლატფორმას საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი შეუერთდა.

ფესტივალის მსვლელობისას უკვე დაიწყო მოლაპარაკებები პირველი ჩინურ-ქართული კოპროდუქციის შესახებ. ფილმი რეალურ ისტორიაზე იქნება აგებული და იგი საქართველოში ჩაის კულტურის შემოსვლის შესახებ მოგვითხრობს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში კინოს მიმართულებით საქართველო ჩინეთთან წარმატებით თანამშრომლობს. პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ზედიზედ 2 წლის განმავლობაში (2017; 2018) ქართული კინოს ტრიუმფის შემდეგ ჩინურ ბაზარზე უკვე გაყიდულია 4 ქართული ფილმის - დისტრიბუციის უფლება და აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს კიდევ რამდენიმე ქართული ფილმის გაყიდვის შესახებ. თბილისსა და ბათუმში კი უკვე დაწყებულია პირველი ჩინური სერიალის „ნილაბი“ გადაღებები, რომელშიც ჩინური კინოს ვარსკვლავები იღებენ მონაწილეობას.



კინო სკოლაში - საგაზაფხულო სეზონის დახურვა

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში პროექტის „კინო სკოლაში“ საგაზაფხულო სეზონი საზეიმოდ დაიხურა. კონკურსში გამარჯვებული კინოსკოლელების დაჯილდოვებას ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები და ქართველი კინემატოგრაფისტები დაესწრნენ.

აღსანიშნავია, რომ დაჯილდოვების ცერემონიაზე მოხდა პროექტის ელჩის - მსახიობ თორნიკე გოგრიჭიანის წარდგენა, რომელიც აქტიურად ჩაერთვება პროექტში. წელს „კინო სკოლაში“ ერთ-ერთი მხარდამჭერია კინოთეატრი „რუსთაველი“. სწორედ „რუსთაველში“ გადაინაცვლეს კინოსკოლელებმა ღონისძიების დასრულების შემდეგ, სადაც ისინი ფილმის ჩვენებას დაესწრნენ.

„კინო სკოლაში“ კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტი უკვე მეხუთე წელია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით წარმატებით მიმდინარეობს. პროექტში ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მალაღმთიან სოფლებში. პროექტში უკვე ჩაერთო 800 სკოლა და შედგა 9800 კინოჩვენება.



Film Print ბრუნდება

2 წლიანი პაუზის შემდეგ ერთადერთი ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე FilmPrint ბრუნდება. ჟურნალის პრეზენტაცია ამჯერად განსხვავებულ და ორიგინალურ ფორმატში შედგა. სავაჭრო ცენტრში „გალერია თბილისი“, რომელიც კინოთეატრების ქსელსაც აერთიანებს, ჟურნალის ახალ ნომერი თავად ცნობილმა ქართველმა მსახიობებმა - ნატო მურვანიძემ, ნიკა თავაძემ, ია შულღიაშვილმა, თემიკო ჭიჭინაძემ, ბერტა ხაფავამ და გიგა დათიაშვილმა წარუდგინეს დამსწრე საზოგადოებას.

FilmPrint ამიერიდან ახალი პერიოდულობით - წელიწადში ერთხელ შეაფასებს მნიშვნელოვან ქართულ კინომოვლენებს. ახალი ნომრის რედაქტორები არიან: ნინო მხეიძე, ლელა ოჩიაური და ქეთევან ტრაპაიძე.

ევრიმაჟის მორიგი სამუშაო შეხვედრის მასპინძელი საქართველო იქნება

2018 წლის დეკემბერში ევრიმაჟის მორიგ სამუშაო შეხვედრას საქართველო უმასპინძლებს. უკვე დადასტურებულია, რომ თბილისს ევრიმაჟის წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად, ფონდის დირექტორი - კატრინ ტრატმანი ეწვევა.

მსგავსი რანგის სტუმრების ვიზიტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ევროპულ კინო-პროცესებში. თბილისში გაიმართება ევრიმაჟის დახურული სესია, სადაც გადაწყდება ამ პერიოდისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების საკითხი. შესაბამისად, ევრიმაჟის სამუშაო შეხვედრის დროს, საქართველო მრავალი ქვეყნის ყურადღების ცენტრში იქნება.

საქართველო ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის წევრი 2011 წელს გახდა და მას შემდეგ ფონდის მიერ არაერთი წარმატებული ქართული ფილმი დაფინანსდა.



კინო კაფე

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის აღსანიშნავად, 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ეროვნულმა კინოცენტრმა რუსთაველის გამზირზე კინო კაფეს წარმოადგენა. კაფე გაფორმებული იყო კინო ატრიბუტიკით, ქართული ფილმების პოსტერებით, ფოტოგადაღების ბანერთან კი მსურველები ფოტოებს ფილმების პერსონაჟებთან ერთად იღებდნენ.

13:00 საათიდან 15:00 საათამდე კინო კაფეს ცნობილი ქართველი კინემატოგრაფისტები - რეჟისორები და მსახიობები სტუმრობდნენ. კაფის შესასვლელთან კი სტუმრებს „ნატურის ხე“ დახვდათ, რომელსაც ისინი ფერად ნაჭრებზე დაწერილ მათი საყვარელი ქართული ფილმების სახელწოდებებს აბამდნენ.





SOFA - ევროპული კინოს აგენტების ტრენინგი

23-27 აპრილს თბილისში ჩატარდა კინოაგენტების სკოლის (School of Film Agents) დასკვნითი ვორქშოპი. შერჩეულმა მონაწილეებმა რამდენიმე დღის მანძილზე იმუშავეს საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად.

პროფესიული ვორქშოფის მიზანია, ახალგაზრდა და ძლიერი პოტენციალის მქონე კინოაგენტების მომზადება.

პროექტის ხელმძღვანელია ბერლინალეს კინოფესტივალის დელეგატი და საქართველოს ტერიტორიის კურატორი - ნიკოლაი ნიკიტინი. ტრენინგის 8 მაღალკვალიფიციურ ექსპერტს შორის არის ქართველი მენტორი - თამარ ტატიშვილი, რომელიც ევრიმაჟის და EFP-ის წარმომადგენელია საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში საქართველოს სტუმრობდა European Film Promotion-ის დირექტორი სონია ჰაინენი, რომელმაც საჯარო პრეზენტაცია გამართა.

ოლენა იერშოვას ვორქშოპი ეროვნულ კინოცენტრში

2017 წლის დეკემბერში, ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტების განვითარების კონკურსი, სადაც 2018 წლის აპრილში გამოვლინდა 12 გამარჯვებული ქართული პროექტი.

კონკურსის პირობების თანახმად, გამარჯვებული პროექტების ავტორებმა ვორქშოპი კინოცენტრის მიერ მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტთან ოლენა იერშოვასთან გაიარეს.

სამუშაო შეხვედრები კინოცენტრში 25-27 ივნისს მიმდინარეობდა. სულ მალე გამოვლინდება საუკეთესო პროექტების შესახებ. მათ ავტორებს კი ოლენა იერშოვა საერთაშორისო ბაზარზე წარდგენაში დაეხმარება.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge